ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3795822

ნომერი: AR1571386

თარიღი : 18.01.2018

გაცემის თარიღი : 29.01.2018

გაცნობის თარიღი : 29.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილ აფციაური პ/ნ 35001080181
- რუსთავი XXI მ/რ კორ. 2 ბ. 14

ორგანიზაცია:
- შპს ჯორჯიან ენერჯი ტრეიდი კოდი: 400042333

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1571386 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.916) გამიჯვნასა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.006.916) გამიჯვნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ტერიტორიის ერთიან სისტემაში მოქცევის და სწორი ქალაგეგმარებითი სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება მიზანშეწონილია მთლიან საკადასტრო ერთეულზე.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან მოცემული და მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია, ასევე, მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტერიტორიის ფართობის სიდიდიდან გამომდინარე, საჭიროა მისი სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში, რომელიც დაადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის განხორციელების მიზნით, თავდაპირველად საჭიროა მომზადდეს ესკიზი და განაცხადი ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.